ხელშეკრულება №24/06/3

ქ. თბილისი

24 ივნისი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი", წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „ალმა" წარმოდგენილი მისი მენეჯერის **რამაზ სულავას** სახით (შემდგომ - „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას „შემსყიდველის" მიერ 29 ივნისის ღონისძიებისთვის, მიწოდებული მასალის, 1ც. ბანერის და 10 ც. აფიშის ბეჭდვით მომსახურებაზე. (CPV- 22458000)

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **246.36 (ორას ორმოცდაექვსი ლარი და 36 თეთრი)** ლარი.

1.3. ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

1.4. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10 პრიმა მუხლის III პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება №98.

1 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „მიმწოდებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი ხარისხის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს „მიმწოდებელი".

2.3. „შემსყიდველი" ვალდებულია განიხილოს შესრულებული „სამუშაო" და მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს" ამის შესახებ.

2.4. თუ „მიმწოდებელს" 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, შესრულებული „სამუშაო" „შემსყიდველის" მიერ მოწონებულად ითვლება.

2.5. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 2.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს მოითხოვოს სამუშაოს დამატებითი შესრულება ანაზღაურების გარეშე.

2 ხელშეკრულების ვადა

3.1. „მიმწოდებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს" დათქმულ ვადაში.
3.2. „სამუშაოს" მიღების ადგილი არის „მიმწოდებელის" ოფისი.
3.3. „ცენტრის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
3.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრამდე.

3 ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

4 ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.
5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

5 დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

6 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.
7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7 სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.
8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"
თბილისი. ვ. ბარნოვის ქ. №54
საიდენტ. კოდი 205065196
სს „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
კოდი BAGAGE22
ა/ა GE04BG0000000119780800
საკონტ. ტელ: 2 91 55 05

„მიმწოდებელი"

შპს „ალმა"

ქ.თბილისი, ხეთაგუროვის ქ.№6
საიდენტ. კოდი 204873388
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ა/ა GE20BG0000000361572800
საკ. ტელ: 2 220496; 2220057; 2 961054

გენერალური მენეჯერი

ნინო ნახუცრიშვილი

მენეჯერი

რამაზ სულავა